ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №6443509

ნომერი: AR1963036

თარიღი : 26.04.2023

გაცემის თარიღი : 03.05.2023

გაცნობის თარიღი : 03.05.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი წავკისი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა მიქელაძე პ/ნ 01024014178
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 33 ბ. 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

2023 წლის 26 აპრილის №AR1963036 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 26 აპრილის №AR1963036 განცხადებით მომართა შალვა მიქელაძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 20 აპრილის

№6417717 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 20 აპრილის №6417717 ბრძანებით №81.02.13.878 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 20 აპრილიდან 2023 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 20 აპრილის №6417717 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ბინების ფართობების მითითებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ფართობების დაზუსტებასა და წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლებას.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ საცხოვრებელი ფართი მეტობით არის დაანგარიშებული და მასში ნაწილობრივ შეყვანილია კოლონები. საჭიროა, საცხოვრებელი ფართი დათვლილ იქნეს შიდა კონტურზე, კოლონების გარეშე. ამასთან, განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი). აგრეთვე, საზაფხულო ფართის ნაწილში მოწყობილი, საქვაბისათვის გათვალისწინებული კარადის ფართობი ყველა ნიშნულზე იანგარიშება საზაფხულო ფართის ფართობში. ამასთან, 0.00 ნიშნულის გეგმაზე "3-4" ღერძებში მდებარე კიბის უჯრედის ნაწილში ხდება მცირედით გეგმარების ცვლილება (კედლის გადაადგილება). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ამასთან, საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების გასწორება გამოიწვევს საერთო ფართობის დაზუსტებასაც.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვბრძანებ:
1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:
1.1 დააზუსტოს მოთხოვნა საცხოვრებელ, საზაფხულო და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.
1.2 წარმოადგინოს სამსახურის 2023 წლის 20 აპრილის №6417717 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), შესწორებული ფართობების დატანით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2023 წლის 26 აპრილის №AR1963036 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.